



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
BODY



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N9

ქ. მარნეული

19.06.2017 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

ბიუროს წევრები: - ნაბი აბდულაევი, ვალერი მეტრეველი, ნიკოლოზ გოგოჭური, კოტე ბოჭოიძე, ირაკლი ბურნაძე, რაფიკ მუსაევი, ვალი ისმაილოვი, ქამილ ალიევი.

სხდომას არ ესწრებოდა: ამირან გიორგაძე, ვანო ბურნაძე, რიჩარდ გიგანი, აბიდ ოსმანოვი, გიორგი შუკაკიძე, გივი ქველაძე, რამიზ გულმამედოვი.

სხდომას ესწრებოდა: მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე ზაურ ტაბატაძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 18 მაისის N03/5703 წერილის განხილვის შესახებ.

2. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 18 მაისის N03/5702 წერილის განხილვის შესახებ.

განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 18 მაისის N03/5703 წერილით შემოსული დოკუმენტაცია, რომლის მიხედვით მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2017 წლის 21 აპრილის N01/104632 წერილის გათვალისწინებით, ითხოვს სადახლოს საზოგადოებრივი სერვისის ცენტრთან დაკავშირებით ხელშეკრულების ვადის

გაგრძელებას 30 წლით, 2047 წლის 22 მაისამდე, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 18 მაისის N03/5702 წერილით შემოსული საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის მთავარი სამმართველოს 2017 წლის 27 აპრილის წერილი, რომლის მიხედვით დეპარტამენტი წინააღმდეგი არ არის მოქალაქეთა განცხადების გათვალისწინებით მოხდეს ქალაქ მარნეულის მოედნიდან ცენტრალურ გადასასვლელ ხიდამდე განთავსებული საგზაო ნიშნების დემონტაჟი და ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირებისათვის შესაბამისი დახაზვა რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2017 წლის მეცხრე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაბი აბდულაევი